საპერფორმანსო და საგამოფენო

სივრცეების ინტეგრაცია

ნუცა ცერცვაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების

ფაკულტეტზე

სამაგისტრო პროგრამა: თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ზაუტაშვილი

(ასოცირებული პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნუცა ცერცვაძე

16/05/2023

აბსტრაქტი

ჩემი კვლევითი ნაშრომი, საპერფორმანსო და საგამოფენო სივრცეების შესახებ გამოიკვლევს თუ, როგორ არის შესაძლებელი ორი საჯარო სივრცის თანაკვეთა და ინტეგრაცია. ამ ორი ფუნქციის გადაკვეთა იძლევა საინტერესო, მრავალფეროვან და კრეატიულ მედიუმს ხელოვნებასა და საზოგადოებას შორის.

თანამედროვე არქიტექტურაში მიღებული პრაქტიკაა, ორი სხვადასხვა ფუნქციის შერწყმით მულტიფუნქციონალური სივრცის მიღება, ამ შემთხვევაში კი საუბარი გვაქვს ისეთ ორ ფუნქციაზე, რომლებსაც ბევრი რამ აქვთ საერთო და ერთად განსაკუთრებულად კარგად შეძლებენ ქალაქისთვის ახალი და განსხვავებული სივრცის წარმოქმნას.

სხვადასხვა მაგალითების შესწავლით და დიზაინის ინოვაციური კონცეფციების ჩართვით, ეს დავალება მიზნად ისახავს უზრუნველყოს ამ საინტერესო და სწრაფად განვითარებადი სფეროს ყოვლისმომცველი მიმოხილვა, შემდგომ კი ამ კვლევაზე დაყრნობით შემუშავებულ იქნება კონცეფცია და არქიტექტურული პროექტი, რომელიც თბილისს კიდევ ერთ საინტერესო საჯარო სივრცეს შეჰმატებს, სადაც სხვადასხვა დარგის არტისტებს შესაძლებლობა ექნებათ თავისუფლად წარადგინონ სხვადასხვა ტიპის ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები.